

# საქართველოში კანაფზე დაფუძნებული მედიკამენტების გამოყენების საჭიროება და შესაძლებლობები ნევროლოგიური დარღვევების მკურნალობის კუთხით

ანალიტიკური დოკუმენტი

ავტორი: სოფიო კასრაძე

მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი, ეპილეფსიასთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგის (ILAE) საქართველოს განყოფილების (GLAE) პრეზიდენტი, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი

ანგარიში მომზადებულია პროექტის "სამედიცინო კანაფი საქართველოში" ფარგლებში, რომლის ფინანსური მხარდამჭერია "ღია საზოგადოების ფონდი." ანგარიშის შინაარსი და მასში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს და არ გამოხატავს "ღია საზოგადოების ფონდის" პოზიციას

თბილისი, საქართველო

2022 წელი



ალტერნატივა  
ქორჯია





კანაფი არის Cannabaceae ოჯახის მცენარე, რომელშიც დღემდე გამოვლენილია მინიმუმ 568 ნაერთი და მათგან ~120 არის ფიტოკანაბინოიდი;

ფიტოკანაბინოიდები მცენარეში ბიოსინთეზირდება ფენოლური წინამორბედებისგან, რომელთაგანაც რამდენიმე შეიცავს კარბოქსილის მჟავას ნაერთს - ფიტოკანაბინოიდურ მჟავას.

**ძირითადი ფიტოკანაბინოიდური მჟავებია:**


**$\Delta^9$ -THCA** - ტეტრაჰიდროკანაბინოლის მჟავა - დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლი, კომპონენტი, რომელსაც გააჩნია ფსიქოაქტიური თვისებები;

**CBGA** - კანაბიგეროლის მჟავა რომელსაც ფსიქო-აქტიური თვისებები ბევრად უფრო დაბალი აქვს ვიდრე  $\Delta^9$ -THCA-ს,

**CBDA** - კანაბიდიოლის მჟავა, რომელიც აღნიშნული კომპონენტებისგან სრულიად განსხვავებული ნაერთია, არ გააჩნია ფსიქოაქტიური თვისებები (მაგ.: ისეთი ეფექტები, როგორიცაა ეიფორია), არ ახასიათებს დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რის გამოც დაცულია ბოროტად გამოყენებისგან, აქვს მნიშვნელოვანი ინჰიბიტორული თვისებები და ამ კუთხით, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით დიდი ინტერესია ჯანმრთელობის პოტენციური სარგებლიანობის კუთხით.

ფიტოკანაბინოიდური მჟავები, ავლენენ დაბალი ზემოქმედების უნარს CB რეცეპტორებზე, ხოლო დეკარბოქსილირებული ფიტოკანაბინოიდები ავლენენ მაღალ ფიზიოლოგიურ აქტივობას და სწორედ დეკარბოქსილირებული ფიტოკანაბინოიდები  $\Delta^9$ -THC და CBD გამოიყენება ფარმაცოთერაპიის მიზნებისთვის.

როგორც აღვნიშნეთ ყველაზე კარგად ცნობილი დეკარბოქსილირებული ფიტოკანაბინოიდებია ტეტრაჰიდროკანაბინოლი ( $\Delta^9$ -THC) და კანაბიდიოლი (CBD).



სურათი 1.  $\Delta^9$ -THC და CBD-ის ქიმიური აგებულება

თავდაპირველად, სამედიცინო მიზნით გამოიყენებოდა კანაბიდიოლის შემცველი ორი სახის კულტივირებული მცენარის „*Cannabis sativa*“ და „*Cannabis indica*“-ს შტამები, რომლებიც THC-სა და CBD-ს, შეიცავენ სხვადასხვა პროცენტული რაოდენობით.

შემდგომში, კანაფის მცენარის ფართომასშტაბიანი სელექციის საფუძველზე ამ მცენარემ შეიძინა სხვადასხვა შტამების ჰიბრიდული ქიმიოტიპის ფორმა.

ლიცენზირებულმა მწარმოებლებმა კანაფის ჰეტეროგენული ქიმიური შემადგენლობებისა და სხვადასხვა კონცენტრაციის შტამების მისაღებად დაიწყეს კანაფის დამუშავება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მეთოდით (Lewis-Bakker et al., 2019). აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა კანაფის მრავალი სახეშეცვლილი შტამი, რომელიც უკვე ზემოქმედებს კანაფზე დაფუძნებული პროდუქტების ხარისხზე, ფარმაკოკინეტიკასა და კლინიკურ ეფექტებზე.

ამ გარემოებამ წინა პლანზე დააყენა კანაფის მცენარის სამედიცინო შტამების იდენტიფიცირებისა და თითოეული მათგანის ქიმიური შემადგენლობების მიხედვით კლასიფიცირების აუცილებლობა, რადგან, დაუშვებელია ერთი კონკრეტული მცენარიდან მიღებული პრეპარატისთვის შემუშავებული რეკომენდაციების გავრცობა სხვა მცენარის ქიმიურ ვარიანტებზე.

დრეისათვის კანაფის პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის დემონსტრირება აუცილებელია კანაფის ხარისხიანი და უსაფრთხო პრეპარატების წარმოების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქტის კლინიკური ეფექტი.

მაგალითად, კანაბიდიოლის წარმოებული პრეპარატი **Epidiolex®** -ი არის *Cannabis sativa*-ს ექსტრაქტი, რომელიც შეიცავს კანაბიდიოლს (CBD) >98% და Δ9-THC <0,5%.

2018 წელს FDA-მ დაამტკიცა ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი CBD პროდუქტი - **ეპიდიოლექსი**, რომელიც შესაძლოა გამოიწეროს რეცეპტის საშუალებით და გამოყენებულ იქნას ეპილეფსიური გულყრების სამკურნალოდ ლენოქს-გასტოს სინდრომის (Lennox Gastaut- LGS), დრავეს სინდრომის (DS) ან ტუბეროზული სკლეროზის (TSC) დროს, ორი წლისა და უფროსი ასაკის ადამიანებში.



#### FDA NEWS RELEASE

### FDA Approves First Drug Comprised of an Active Ingredient Derived from Marijuana to Treat Rare, Severe

FDA-ს ვიზირების შემდეგ, ზემოხსენებული სინდრომების გარდა, მცენარეული წარმოშობის მაღალი ხარისხით გაწმენდილი პრეპარატის ეპიდიოლექსის (Epidiolex® აშშ-ში; 100 მგ/მლ პერორალური ხსნარი) გამოყენება ნაცადი იყო როგორც მოზრდილი, ისე ბავშვთა ასაკის ფარმაკო-რეზისტენტული ეპილეფსიების მქონე პაციენტებში. საწყისი დოზა განსაზღვრული იყო 5 მგ/კგ/დღეში, მიღების ჯერადობა დღეში ორჯერ, ნელი ტიტრაციითა და მაქსიმალური დოზით 50 მგ/კგ/დღე (Gaston, et al., 2021).

**2019 წლიდან** ეპიდოლოქსი ლეგალიზებულია მსოფლიოს 35 ქვეყანაში და აშშ-ს 37 შტატში.

**Epidiolex** – წარმოადგენს ორალურად მისაღებ მოთეთრო-მოყვითალო სითხეს; თითოეულ ბოთლში 100 მლ-ია და თითოეული მლ-ში შეიცავს 100 მგ ეპიდოლოქსს.



ეპიდოლოქსი არის CBD-ით გამდიდრებული პროდუქტი, შესაბამისად, ხასიათდება CYP2D6-ის ძლიერი ენჰიმინჰიბირებელი თვისებებით, ამიტომ, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ვალპროის მუავასთან კომბინაციის დროს, CBD იწვევს ღვიძლის ტრანსამინაზების მატებას, რის გამოც, CBD-ით მკურნალობის დაწყებამდე, ყველა შემთხვევაში აუცილებელია შრატის ტრანსამინაზებისა (ALT და AST) და ბილირუბინის ზოგადი დონის განსაზღვრა.

პრეპარატი მიიღება პერორალურად, დღეში ორჯერ, ნელი ტიტრაციით. თავდაპირველად წამლის მიღება იწყება დოზით 2.5 მგ/კგ დილით და საღამოს (სულ 5 მგ/კგ/დღე); შემდგომში დოზის ყოველკვირეული მატებით 5 მგ/კგ/დღეში., საბოლოო დოზით - 20 მგ/კგ/დღეში.

**Epidiolex**-ით მკურნალობის შეწყვეტა და მოხსნა ხორციელდება ასევე ეტაპობრივად.

გვერდითი ეფექტებიდან, როგორც აღვნიშნეთ, მოსალოდნელია სისხლის შრატის ტრანსამინაზების მატება, რაც ერთმნიშვნელოვნად დოზა-დამოკიდებულია; ეპიდოლოქსის ან თანმხლები წამლის (ძირითადად, ვალპროატი) დოზის შემცირება სწრაფადვე არეგულირებს ტრანსამინაზების დონეს.

ეპიდოლოქსმა, ასევე შეიძლება გამოიწვიოს სომნოლენცია და სედაცია, რაც, ასევე დოზადამოკიდებული ფენომენია. ძალზე იშვიათი გვერდითი მოვლენებია დიარეა, აბდომინური ტკივილი და დისკომფორტი, კანზე გამონაყარი, სურდო.

სხვა წამლებთან ურთიერთქმედება ყველაზე კარგადაა შესწავლილი კლობაზამისა და ვალპროატის შემთხვევებში, კერძოდ, ეპიდოლოქსი ზრდის კლობაზამის და დიაზეპამის კონცენტრაციას სისხლში, რაც შეიძლება გახდეს ამ პრეპარატების გვერდითი ეფექტების გამოვლენის საბაზი.

### ისტორიული ექსკურსი

კანაფის სამკურნალო მიზნებისთვის გამოყენების იდეა არახალია და დიდი ხნის ისტორია აქვთ მედიცინის ევოლუციაში. იგი მოხსენებულია ჩინეთისა და მესოპოტამიის ძველ ტექსტებში ეპილეფსიის, სპასტიურობისა და დეპრესიის სამკურნალოდ. 1800-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო მისი მოქმედების მეცნიერულად შესწავლა (Friedman and Sirven, 2017; Russo, 2017) და მე-19 საუკუნიდან იგი გახდა დასავლური სამედიცინო პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ტკივილის, ქრონიკული ხველისა და კუნთების სპაზმების სამკურნალოდ.

ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა მსჯელობა ენდოკანაბინოიდური აგონისტების გამოყენების საკითხებზე სხვადასხვა სახის ქრონიკული ტკივილის, გულისრევისა და ღებინების, ეპილევსიური გულყრების, აივ-ინფექციისთვის დამახასიათებელი ნეიროპათიული ტკივილის, გაფანტული სკლეროზისა და ტურეტის სინდრომის დროს.

დღეისათვის ინტერნეტ - სივრცე სავსეა ისტორიებით, სადაც გადმოცემულია კანაფის სასწაულებრივი სამკურნალო თვისებები; ასეთი ინფორმაცია განსაკუთრებით მრავლად კანაბიდიოლის (CBD) გამოყენების ეფექტურობაზე ეპილევსიით დაავადებულთა მკურნალობაში.

თავდაპირველად, სამედიცინო წრეებში CBD-ი როგორც ეპილევსიის სამკურნალო საშუალება, პოპულარობით არ სარგებლობდა ვინაიდან მონაცემები არ იყო გამყარებული სათანადო სამეცნიერო კვლევებით. სამედიცინო საზოგადოებაში სკეპტიციზმის საფუძველს იძლეოდა მტკიცებულებების სიმწირე CBD-ის ეფექტურობისა და უსაფრთხოების შესახებ; არ არსებობდა მკურნალობის სტანდარტიზებული, რეგულირებული ფორმები და მკურნალობის შედეგები ეფუძნებოდა პოტენციურად მიკერძოებულ, მხოლოდ დაკვირვებითი და სუბიექტური მონაცემების ანალიზს, რომლებიც მოკლებული იყო სტანდარტიზაციის პრინციპებს.

მიუხედავად ამისა, ეპილევსიის მქონე ადამიანების ოჯახები, რომლებიც საცხოვრებლად გადადიოდნენ კოლორადოს შტატში (ერთ-ერთი პირველი შტატია, რომელმაც მოახდინა სამედიცინო კანაფის ლეგალიზაცია), რათა წამლებისადმი დაუმორჩილებელი გულყრების სამკურნალოდ შესაძლებლობა ჰქონოდათ მიეღოთ CBD-ის ზეთები, აღნიშნავდნენ ეპილევსიური გულყრების მნიშვნელოვან შემცირებას და პაციენტების მდგომარეობის გაუმჯობესებას CBD-ით მკურნალობის დაწყების შემდგომ.

ასეთი შემთხვევების სიმრავლემ მეცნიერებს მისცა სტიმული, რათა დაეწყოთ CBD-ის სამკურნალო თვისებების შემსწავლელი სათანადო სამეცნიერო კვლევები, რათა შეეფასებინათ მისი დადებითი თუ უარყოფითი ეფექტები და საშუალება მისცემოდათ, კვლევებზე დაფუძნებული შედეგების მიხედვით შეემუშავებინათ შესაბამისი რეკომენდაციები CBD-ით მკურნალობის საკითხებზე.


მეცნიერები, ასევე ვარაუდობდნენ, რომ კანაფის მცენარის სხვა ნაერთები, შესაძლოა, მრავალი სამკურნალო თვისებების მატარებელი იყოს, რომლებიც მომავალი შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

ვინაიდან კანაფი ხდება ლეგალური სამედიცინო ნივთიერება, მისი ქიმიური შემადგენლობის დაზუსტება აუცილებელია კანაფზე დაფუძნებული ფარმაცევტული პროდუქტების განვითარებისთვის, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პაციენტების სამკურნალოდ სხვადასხვა სამედიცინო მიზნებისთვის.

## ენდოკანაბინოიდური სისტემა

ცნობილია, რომ გარდა მცენარეული კანაბინოიდებისა არსებობს ასევე სინთეზური კანაბინოიდები და ენდოგენური კანაბინოიდები (eCB) - ანანდამიდი (ANA) და 2-არაქიდონ გლიცეროლი (2-AG), რომლებიც არიან n-6 პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავის - არაქიდონის მჟავის წარმოებულები (Lu and Mackie, 2015). ისინი აკავშირებენ მთავარ ენდოკანაბინოიდურ რეცეპტორებს, როგორცაა ცენტრალური ტიპის (CB1) და პერიფერიული ტიპის (CB2) რეცეპტორები, რომლებიც დაწყვილებულია მემბრანულ G-პროტეინებთან და კანაბინოიდების ბიოლოგიური ეფექტები, ძირითადად, პროტეინ G-სთან დაწყვილებული კანაბინოიდური CB1 და CB2 რეცეპტორებითაა განპირობებული.

კანაბინოიდები უკავშირდებიან კანაბინოიდურ CB1 და CB2 რეცეპტორებს ცენტრალურ და პერიფერიულ ქსოვილებში და ახდენენ ამ რეცეპტორების პასუხების მოდულირებას შემდგომი ფიზიოლოგიური ეფექტებისთვის




ენდოკანაბინოიდები [ანანდამიდი (ANA) და 2-არაქიდონ გლიცეროლი (2-AG)], კანაბინოიდური რეცეპტორები [CB1 და CB2] და მათ ბიოსინთეზზე, ინდუქციასა და ინჰიბიციასზე პასუხისმგებელი ფერმენტები/პროტეინები ქმნიან ენდოკანაბინოიდურ სისტემას (ECS) (Pertwee, R.G.; Cascio, 2014).

ECS არის უჯრედული სასიგნალო სისტემა, რომელიც ფართოდაა მიმოფანტული ადამიანის ორგანიზმში და მოიცავს ენდოგენურ ლიგანდებს, კანაბინოიდურ რეცეპტორებს, ასევე ბიოსინთეზისა და ჰიდროლიზის მექანიზმებს.



კანაბინოიდების კვლევის ძირითადი მიღწევები უკავშირდება სწორედ ენდოკანაბინოიდური სისტემის (ECS) აღმოჩენას (Sugiura et al., 1995 ). ECS მონაწილეობს ისეთი სასიცოცხლო ფუნქციების რეგულაციაში, როგორც იმუნური სისტემა, სინაფსური პლასტიურობა და ნეირომოდულაცია, კიბოს პროგრესირება, მადა და მეტაბოლიზმი, თერმოგენეზი, დასწავლა




და მეხსიერება, ცირკადული რიტმები, ტკივილის რეგულირება, განწყობა და ქცევა, რეპროდუქცია, გამეტოგენეზი და გულის ფუნქციობა (Ladha et al., 2020). აღნიშნული სისტემის დისფუნქციები იწვევს ისეთ დარღვევებს, როგორც ქცევითი, ნევროლოგიური ან მეტაბოლური დარღვევები და უნაყოფობა.

ბოლოდროინდელი კვლევებით ნაჩვენებია, რომ ცხოვრების სტილის ფაქტორებისა და ეპიგენეტიკური მოდულაციის პროცესში სხვადასხვა მავნე გარემო პირობებში ენდოკანაბინოიდები, შესაძლოა, თვითონ გახდნენ ეპიგენეტიკური ცვლილებების გამომწვევი ფაქტორები (Marccariello et al., 2020)

**CB1 რეცეპტორები** ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რეცეპტორებია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში; ისინი განსაკუთრებით უხვად გვხვდება ნეოკორტექსში, ჰიპოკამპში, ბაზალურ განგლიებში, ნათხემსა და ტვინის ღეროში, ასევე კონცენტრირებულია სხეულის სისტემებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის ძირითად ფუნქციებს - მოტორულ აქტივობას, ტკივილს, აღქმას, სტრესზე რეაგირებას და მეხსიერებას (Herkenham et al. 1991; Marsicano et al., 2008). CB1 რეცეპტორებით საკმაოდ მდიდარია პრესინაფსური და აქსონური ნაწილები (Straiker et al., 2012). **CB1** რეცეპტორები ენდოგენური კანაბინოიდების **-THC** (ტეტრაჰიდროკანაბინოლი) და **ანანდამიდის** მთავარი სამიზნეა. **THC** - CB1-ის აგონისტია, ააქტიურებს თვით რეცეპტორს ან პირდაპირ უკავშირდება მას და იწვევს კანაბინოიდების ინტოქსიკაციურ ეფექტებს.


**CB2 - ის რეცეპტორები** უხვადაა მიმოფანტული სხეულის პერიფერიულ ორგანოებზე, და გვხვდება უპირატესად იმუნური სისტემის უჯრედებსა და ქსოვილებში, რომლებიც უზრუნველყოფენ იმუნური სისტემის, კუნთოვანი სისტემისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირებას (Klein, 2005).



კანაბინოიდური CB1 და CB2 რეცეპტორების აღმოჩენამ და კლონირებამ, მათი ენდოგენური ლიგანდების აღმოჩენასთან ერთად, 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა ენდოკანაბინოიდური სისტემის მექანიზმებისა და ფიზიოლოგიური როლის

შესწავლას (Pertwee, 1997). კვლევების საფუძველზე დადასტურდა, რომ ენდოკანაბინოიდების პროდუცირება დამოკიდებულია  $Ca^{2+}$ -ის სინთეზზე, რომელიც, როგორც წესი, იწყება სინაფსური აქტივობის საპასუხოდ, ენდოკანაბინოიდური სისტემის გააქტივებისა და უჯრედშიდა  $Ca^{2+}$ -ის რაოდენობის გაზრდით პოსტსინაფსურ მემბრანაზე (Heifats and Castillo, 2009; Qian et al, 2017).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნეირომოდულაციურ პროცესებზე, ჯანმრთელ და დაავადებულ ორგანიზმში კანაბინოიდური რეცეპტორების სიგნალები დიფერენცირებულად და განსხვავებული გზებით მოქმედებენ. ამიტომ, კლინიკურ მიზნით ფიტოკანაბინოიდების გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო კანაბინოიდის ექსტრაქტისა და სუფთა სამკურნალო კანაფის სახით მიღებისას, რადგან ისინი განსხვავებული მექანიზმებით მოქმედებენ (Yang et al.,2020).




პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, კლინიცისტებისთვის შექმნილია როგორც სამედიცინო კანაბინოიდების უფრო დახვეწილი და კლინიკურად რელევანტური მოდელები, ისე შესაბამისი სახელმძღვანელოები. ამდენად, ჯანდაცვის სპეციალისტები უფრო აქტიურად არიან ჩართულები სამედიცინო კანაბინოიდების ადმინისტრირებაში, რომელიც, ბოლო პერიოდამდე, პაციენტების მხრიდან, ძირითადად, თვითმართვადი იყო (Allan et al., 2018).


### მოქმედების მექანიზმი



ვარაუდობენ, რომ CBD-ის დამთრგუნველი ფუნქცია განპირობებული უნდა იყოს მისი



Delta-9-tetrahydrocannabinol (THC)



Cannabidiol (CBD)

მოლეკულის რეზორცინოლის ნაწილში ორი თავისუფალი ჰიდროქსილის ჯგუფით, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს CYP2D6-ის ინჰიბირებაში (Bialer, et al., 2018).


### ფარმაკოდინამიკა

კანაბიდიოლს აქვს დაბალი აფინურობა (თავსებადობა) კანაბინოიდური რეცეპტორების CB1 და CB2 მიმართ, [Mechoulam et al, 2020), თუმცა, მიუხედავად ამისა, მას შეუძლია შეცვალოს CB1/CB2 რეცეპტორების ფუნქციობა მათ აგონისტებზე ანტაგონისტური ქმედების უნარით. CBD-ის ფარმაკოლოგიური ეფექტები ასევე მოიცავს კათიონური არხების დათრგუნვას, რაც იწვევს უჯრედშიდა კალციუმის გამოყოფის სტიმულაციას.

### ფარმაკოკინეტიკა

ადამიანებში კანაბიდიოლის ბიომედიწვეადობა ორალური გზით შეადგენს დაახლოებით 6%-ს, ხოლო ინჰალაციის გზით - 11-დან 45%-მდე (საშუალოდ 31%)(Perucca & Bialer, 2020; Contin et al, 2021). CBD-ის ნახევარგამოყოფის პერიოდია 18-32 საათი[13] და მეტაბოლიზდება როგორც ღვიძლში, ისე ნაწლავებში, ციტოქრომ P450 ფერმენტების მეშვეობით (Kim, etal, 2017)

რომელი ნევროლოგიური მდგომარეობების შემთხვევაში შეუძლია CBD-ს სარგებლის მოტანა?



### ნევროლოგიური დარღვევები

ნევროლოგიური დაავადებები აღენიშნება მსოფლიო მოსახლეობის მილიონობით ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი განეკუთვნება იშვიათი დაავადებების ჯგუფს, უნარშეზღუდულობის მაჩვენებლების მიხედვით ნერვული სისტემის დარღვევები მთელ მსოფლიოში პირველ, ხოლო სიკვდილობის გლობალური მაჩვენებლების მიხედვით - მეორე პოზიციას იკავებს.

უნარშეზღუდულობის, ავადობისა და სიკვდილობის მაღალი რისკის გამო ნევროლოგიური დაავადებები მნიშვნელოვან ფსიქო-სოციალურ პრობლემას წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემისთვის.

ტერმინი „ნევროლოგიური დარღვევები“ აერთიანებს ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის პათოლოგიურ მდგომარეობებს, რომელთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეპილეფსია, თავის ტკივილი (მათ შორის შაკიკი), ნეიროდეგენერაციული დარღვევები (მათ შორის დემენცია და პარკინსონის დაავადება), ცერებროვასკულური დაავადებები (მათ შორის ინსულტი), ნეიროინფექციური და ნეიროიმუნოლოგიური დარღვევები (მათ შორის მენინგიტი, აივ, ნეიროცისტიცერკოზი, ცერებრალური მალარია და გაფანტული სკლეროზი), ნეირომუსკულური დარღვევები (მათ შორის პერიფერიული ნეიროპათია, კუნთოვანი დისტროფია და მიასტენია გრავისი), ნეიროგანვითარების დარღვევები (მათ შორის აუტიზმის სპექტრის დარღვევები და თანდაყოლილი ნევროლოგიური პათოლოგიები), თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანება, და ნერვული სისტემის კიბო.

ნევროლოგიურ მდგომარეობების ეფექტური მკურნალობის სირთულეს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ასეთი მდგომარეობები მჭიდროდაა გადაჯაჭვული სხვა სამედიცინო მდგომარეობებთან, მაგ. როგორცაა ფსიქიკური ჯანმრთელობა, არაგადამდები და ინფექციური დაავადებები, ძილ-ღვიძილის ციკლის დარღვევები, ძალადობა და გარემოს ჯანმრთელობა, რაც პრობლემებს ქმნის დაავადებათა პრევენციის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა თუ პალიატიური მზრუნველობის ჯანდაცვითი სერვისების განხორციელებას, მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოს, საზოგადოების, ოჯახებისა და ინდივიდის ეკონომიკურ ხარჯებს და აქვეითებს ეკონომიკური პროდუქტულობის ხარისხს.

კითხვაზე, თუ რამდენად ეფექტურია CBD ეპილეფსიური გულყრებისა და სხვა ნევროლოგიური დარღვევების შემთხვევაში, პასუხს იძლევა რამდენიმე ბოლოდროინდელი რანდომიზებული, ორმაგად ბრმა, პლაცებოთი კონტროლირებადი კვლევების შედეგები.

## ეპილეფსია და ეპილეფსიური სინდრომები


ეპილეფსია თავის ტვინის ქრონიკული ნევროლოგიური დაავადებაა, რომელიც აღენიშნება მსოფლიო მოსახლეობის 1%-ს (WHO Epilepsy; 9 February, 2022). საქართველოში აქტიური ეპილეფსიით დაავადებულია 35000-ზე მეტი ადამიანი (Lomidze et al, 2012) და მათ 26%-ს აღენიშნება ფარმაკოლოგიური მკურნალობისადმი რეზისტენტული გულყრები (Kasradze et al,

2015). დაავადება საჭიროებს ხანგრძლივ, ადეკვატურ მკურნალობას და სამედიცინო მეთვალყურეობას, რადგან არაკონტროლირებადი გულყრის შემთხვევაში საკმაოდ მაღალია სტანდარტიზებული სიკვდილობის (KobulaSvili et al, 2013) და უეცარი სიკვდილის რისკები (Tomson et al. 2005; DeGiorgio et al., 2018). ამიტომ, ეპილეფსიის მქონე პაციენტებში მკურნალობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიური გულყრების სრული შეწყვეტა ან მათი მინიმუმამდე შემცირება სხვადასხვა მეთოდებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას პაციენტის უსაფრთხოება და მას ჰქონდეს საზოგადოებრივი აქტივობის შესაძლებლობა.

### CBD-ს ანტიკონვულსიური ეფექტები

თავის ტვინზე CBD-ს ზემოქმედება რთული მექანიზმებით რეგულირდება, კერძოდ, CBD ზემოქმედებს როგორც ნეირონულ ქსელებზე, ისე კონკრეტულ სამიზნეებზე, და მისი ანტიკონვულსიური ეფექტი განპირობებულია არა კანაბინოიდურ რეცეპტორებზე პირდაპირი მოქმედებით, არამედ მათი აგონისტური და ანტაგონისტური ეფექტებით იონურ არხებზე, ნეიროტრანსმიტერულ გადამტანებზე და მრავალ ტრანსმემბრანულ რეცეპტორზე.

ექსპერიმენტული კვლევების უმეტესობა მიუთითებს, რომ CBD და THC კანაბინოიდებს გააჩნიათ ანტიკონვულსიური თვისებები, თუმცა, **THC ნაკლებად ეფექტური თერაპიული ვარიანტია** ეპილეფსიის მქონე პაციენტებისთვის, რადგან რიგ შემთხვევებში შეიძლება გაააქტიუროს ეპილეფსიური გულყრები. ამიტომ, **ეპილეფსიური გულყრების სამკურნალოდ, ძირითადად, გამოიყენება CBD.**



სურათი 2. კანაბინოიდების მოქმედების ზოგადი რეჟიმი ეპილეფსიაში.

ტვინში კანაბინოიდის (CBD) მოქმედებები რთული და მრავალფეროვანია; იგი მოიცავს როგორც ნეირონულ ქსელებზე, ისე არანეირონულ -მიკროგლიურ ქსელებზე ზემოქმედებას, რასაც ახორციელებს ენდოკანაბინოიდური სისტემის სამიზნეებზე შუამავლის ტიპის ზემოქმედებით და იძლევა ანტიკონვულსიურ ანუ ნეირონული აგზნების დათრგუნვის ეფექტს.

## CBD და ეპილექსიური ენცეფალოპათიები

ეპილექსიური გულყრებით თანხლებული მძიმე ეპილექსიური მდგომარეობებია:

- **ოტაჰარას სინდრომი** (ადრეული ინფანტილური ეპილექსიური ენცეფალოპათია)
- **ადრეული მიოკლონური ენცეფალოპათია**
- **ჩვილობის ასაკის ეპილექსია მიგრაციული ფოკალური გულყრებით**
- **ვესტის სინდრომი** (ინფანტილური სპაზმები)
- **დრავეს სინდრომი** (ჩვილობის ასაკის მძიმე მიოკლონური ეპილექსია)
- **დუზის სინდრომი** (მიოკლონურ-ატონური ეპილექსია),
- **ლენოქს-გასტოს სინდრომი**,
- **ESES/CSWS** - ეპილექსიური სტატუსი ძილში/ ეპილექსიური ენცეფალოპათია გახანგრძლივებული მახვილ-ნელტალღოვანი აქტივობით ძილში
- **ლანდაუ-კლეფნერის სინდრომი**


აღნიშნული ეპილექსიური მდგომარეობები ცნობილია ეპილექსიური ენცეფალოპათიების სახელწოდებით, ვლინდება ადრეულ ასაკში და ახასიათებს

- იქტური და ინტერიქტული გულყრის ტიპების ასაკდამოკიდებულება,
- წამლის მიმართ რეზისტენტული გულყრები,
- მძიმე და სტაბილური პათოლოგიური EEG ცვლილებები,
- მძიმე კოგნიტური დარღვევები/ კოგნიტური დისფუნქციები.

## ლენოქს-გასტოს სინდრომი (ლგს)

ლენოქს-გასტოს სინდრომი - Lennox-Gastaut syndrome (ლგს), ბავშვობის ასაკში დაწყებული მძიმე და იშვიათი განვითარებითი და ეპილექსიური ენცეფალოპათიაა (გეე), რომელიც გვხვდება, დაახლოებით ორ შემთხვევაში ყოველ 100 000 მოსახლეზე (Heiskala, 1997); ლგს ხასიათდება გამომწვევი ფაქტორებისა და გენეტიკური მიზეზის მრავალფეროვნებით და სხვადასხვა ტიპის ეპილექსიური გულყრებით.

ლგს-ის დროს ეპილეფსიური გულყრები ძირითადად, იწყება 8 წლამდე და თითქმის ყველა შემთხვევაში (90% $\leq$ ) გრძელდება სრულწლოვან ასაკშიც (Panayiotopoulos, 2005; Camfield, 2011).



ლგს თანხლებულია ნეიროგანვითარებითი დარღვევებით და სპეციფიკური ელექტროენცეფალოგრაფიული (ეეგ) ცვლილებებით (იხ. სურათი), ახასიათებს უეცარი ეპილეფსიური შეტევები ვარდნით (Drop seizures), რაც ხშირად იწვევს პაციენტის სერიოზულ ტრავმებსა და დაზიანებებს, ზოგჯერ, უეცარ სიკვდილსაც. ლგს მქონე პაციენტებში




სურათი N3. ეეგ-ლენოქს-გასტოს სინდრომის დროს


საშუალების სახით განიხილება კანაბდიოლის (CBD) ჩართვა.

კრუნჩხვების სამკურნალო პრეპარატებად დამტკიცებულია კლობაზამი, ვალპროატი, ლევეტირაცეტამი, ლამოტრიგინი და რუფინამიდი; ასევე მოწოდებულია ალტერნატიული მეთოდები კეტოგენური დიეტისა და ცდომილი ნერვის სტიმულაციის სახით. მიუხედავად ამისა, მაინვალიდებელი გულყრების შეწყვეტა თითქმის მიუღწევადია ზემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებისა და მეთოდების გამოყენებით, რის გამოც ამ სინდრომის მკურნალობაში დამატებითი





სურათი N4. გულყრების სიხშირის შემცირების ყოველთვიური მაჩვენებელი კანაბინოლით მკურნალობის ფონზე (Devinsky et al, 2018)



სურათი N5. საბაზისო მონაცემებთან შედარებით მკურნალობის პერიოდში უეცარი ვარდნითი გულყრების შემცირება 50%-დან 75%-მდე (Devinsky et al, 2018)

ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ CBD ამცირებს კრუნჩხვების სიხშირეს ეპილექსიის ცხოველურ მოდელებში; მცენარეული ფარმაცევტული ფორმის წამლის ღია ეტიკეტის კვლევებით გამოვლინდა, რომ CBD შეიძლება ეფექტური იყოს წამლისადმი რეზისტენტული ეპილექსიის შემთხვევებში (Devinski et al., 2016).

რანდომიზებულმა კონტროლირებადმა კვლევებმა დაადასტურა, რომ CBD მნიშვნელოვნად ამცირებს კრუნჩხვების სიხშირეს ლენოქს-გასტოს სინდრომის მქონე ბავშვებსა და მოზარდებში (Devinsky et al, 2018). აღნიშნული კვლევების საფუძველზე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ლენოქს-გასტოს სინდრომის დროს ძირითად ანტიკონვულსიურ მკურნალობაზე CBD-ს დამატებით, დოზით 10 მგ ან 20 მგ/კილოგრამზე დღეში, მნიშვნელოვნად მცირდება უეცარი ვარდნებით გამოწვეული გულყრების სიხშირე. CBD-თან დაკავშირებული გვერდითი მოვლენები ძირითადად მოიცავს ღვიძლის

ამინოტრანსფერაზას კონცენტრაციის მომატებას, განსაკუთრებით, მისი მაღალი დოზით მკურნალობის ფონზე.



## დრავეს სინდრომი

დრავეს სინდრომი (Dravet Syndrome)(Bureau et al., 2010) მიეკუთვნება განვითარების ეპილეფსიური ენცეფალოპათიების ჯგუფს, რომელიც არის ეპილეფსიის იშვიათი განუკურნებელი ფორმა.

დაავადება იწყება ადრეული

ბავშვობის ასაკში, ბავშვის ნორმალური ადრეული განვითარების ფონზე და შემთხვევათა 60%-ში გულყრების მანიფესტაცია თანხლებულია ცხელებით. დაავადება პროგრესირებს ასაკთან ერთად, ხასიათდება მძიმე მიმდინარეობით და განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხებით, მაღალი კომორბიდობით, მკურნალობისადმი გულყრების დაუმორჩილებლობით, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პაციენტისა და მისი ოჯახის ცხოვრების ხარისხზე. დრავეს სინდრომი გვხვდება 1:15700 ადამიანში, რომელთაგან 80%-ზე მეტს აქვს SCN1A გენის მუტაცია (Wu, et. al. 2015). ასაკის მატებასთან ერთად ფართოვდება გულყრების ტიპების სპექტრიც, მაგრამ ინფანტილური სპაზმების გამოვლენა დრავეს სინდრომის დიაგნოსტიკის გადამოწმებას საჭიროებს. სხვა თანმხლები დაავადებები, როგორცაა განვითარების შეფერხება და აბნორმული ეგ-ცვლილებები, კარგად ჩანს სიცოცხლის მე-2 წლიდან. კრუნჩხვები ხშირად გახანგრძლივებულია, რთულად იმართება თანამედროვე ანტიკონვულსანტებით და შეიცავს

პირველ


გულყრები

პირველი  
ალოოპარა



შემთხვე

თავდაპირვე




უცარი სიკვდილობის (SUDEP) მაღალ რისკს. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ანტიკონვულსანტი, რომელსაც, შესაძლოა, ჰქონდეს შედარებით მაღალი ეფექტურობა გულყრების შეწყვეტის მიზნით, მოწოდებული არ არის. თუმცა, ნაჩვენებია, რომ ნატრიუმის არხების მახლოვირებელმა პრეპარატებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყონ გულყრების გახშირებას.

გრძელვადიან ღია ეტიკეტისანი გაფართოებული კვლევების შედეგად, [GWPCARE5

(NCT02224573)], სადაც შერჩეული იყო ორმაგად ბრმა, პლაცებო-კონტროლირებად კვლევაში მონაწილე 120 ბავშვი და მოზარდი დრავეს სინდრომის დიაგნოზით, რომლებსაც ძირითად ანტიკონვულსანტებთან ერთად ეძლეოდათ კანაბიდიოლი, დოზით 20მგ/კგ/დღეში, გამოვლინდა შემდეგი მონაცემები: დრავეს სინდრომის მქონე პაციენტებში, პლაცებოსთან შედარებით, კანაბიდიოლით მკურნალობის ფონზე (დამატებითი პრეპარატის სახით) მნიშვნელოვნად შემცირდა ეპილეფსიური გულყრები (იხ. სურათი N7 ) (Miller et al, 2020).

პლაცებოსთან შედარებით, გვერდითი ეფექტები უფრო ხშირად ფიქსირდებოდა კანაბიდიოლით ნამკურნალ პირებში. გვერდითი ეფექტები ყველაზე ხშირად ვლინდებოდა დიარეის, სომნოლენციისა და მეტაბოლიზმის ცვლილებების სახით (Devinsky et al, 2017).


ამ კვლევების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ CBD არ არის პანაცეა, იგი განსაკუთრებით ეფექტურია უეცარი ვარდნით (ატონური, ტონური, ტონურ-კლონური) (Perry, 2019) და კრუნჩხვითი გულყრებით მიმდინარე შეტევების სიხშირის შესამცირებლად (Devinsky et al., 2018; Billakota et al., 2019; Miller et al., 2020). CBD-თ მკურნალობის ფონზე მნიშვნელოვნად უმჯობესდება დაავადებულთა ოჯახის წევრებისა და მეურვეების ცხოვრების ხარისხიც (Miller et al., 2020)



სურათი N7. გულყრების სიხშირის შემცირების მაჩვენებლები პლაცებო და CBD-ით ნამკურნალ პირებში დრავეს სინდრომით (Miller et al, 2020)


## ტუბეროზული სკლეროზის კომპლექსი (Tuberous Sclerosis complex)

ტუბეროზული სკლეროზი, ასევე ცნობილია როგორც ტუბეროზული სკლეროზის კომპლექსი (ტსკ), რომელიც მიეკუთვნება იშვიათ გენეტიკური მდგომარეობას და იწვევს ძირითადად კეთილთვისებიანი სიმსივნეების განვითარებას სხეულის სხვადასხვა ნაწილში. ასეთი სიმსივნური წარმონაქმნები ყველაზე ხშირად ლაგდება თავის ტვინში, თირკმელებში, გულის კუნთში, ფილტვებში და კანზე, რაც განაპირობებს ამ სისტემებისა და ორგანოების ფუნქციონის




სურათი N8. ტსკ-ის მქონე პაციენტის თავის ტვინის მრგ-სურათი დაზიანებული კერებით

სერიოზულ პრობლემებს. დაავადების გამომწვევია TSC1- და/ან TSC2 გენების მუტაციები; სიხშირე - ყოველი 16000 ცოცხალშობილიდან ერთი დაავადებული. მსოფლიოში ცხოვრობს 2 მილიონი ადამიანი ტსკ-ით და მათ თითქმის 85%-ს აღენიშნება ეპილეფსიური გულყრებიც (Jeong&Wong, 2016), რომლებიც, ძირითადად, ფოკალურია. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ფოკალური გულყრების სამკურნალოდ რამოდენიმე ეფექტური საშუალება არსებობს, ტსკ-ს დროს ეპილეფსიური გულყრების 60% არ ექვემდებარება არც თერაპიულ და არც სხვა ალტერნატიულ მკურნალობას (ქირურგიული, კეტოგენური დიეტა).



სურათი N9. ტსკ-ს ტუბერების სამიზნე ორგანოები

2016-2019 წლებში CBD-ის 25-მგ/კგ/დღეში და 50მგ/კგ/დღეში ეფექტურობისა და



სურათი N10 გულყრათა შემცირების მაჩვენებლები CBD-ით ნამკურნალებ და პლაცებო ჯგუფებში (Thiele et al., 2021).

უსაფრთხოების შესაფასებლად ჩატარებული ორმაგად ბრმა პლაცებო-კონტროლირებადი მულტიცენტრული კვლევებით, ტსკ-სა და ეპილეფსიური გულყრების მქონე 1-დან 65 წლამდე ასაკის პაციენტებში გამოვლინდა, რომ პლაცებო-ჯგუფთან შედარებით, CBD-ით მკურნალობის დამატებით, ეპილეფსიური გულყრების რაოდენობა ყველა შემთხვევაში შემცირდა 50%-დან 75 %-მდე (Thiele et al.2021). აღნიშნულის საფუძველზე დადგინდა, რომ ტსკ-ს მქონე პაციენტებში, რომლებსაც აღნიშნებათ მკურნალობისადმი რეზისტენტული, ძირითადად ფოკალური კრუნჩხვები მაღალი სიხშირით, CBD-ის დამატება მნიშვნელოვნად ამცირებს კრუნჩხვების სიხშირეს.

ტსკ-ს შემთხვევაში CBD-ის უსაფრთხოების პროფილი შეესაბამება ლექნოქს-გასტოსა და დრავეს სინდრომების დროს გამოვლენილ გვერდით ეფექტებს, კერძოდ ტრანსამინაზების დონის მომატებას (განსაკუთრებით ვალპროატთან კომბინაციაში), ძილიანობას და სედაციას (განსაკუთრებით კლობაზამთან კომბინაციაში).

ორმაგი ბრმა პლაცებო-კონტროლირებადი კვლევებით გამოვლინდა, რომ პლაცებოსთან შედარებით, გულყრების კონტროლი მნიშვნელოვნად უმჯობესდება ტსკ-ს მქონე პაციენტებში CBD-ის დამატებით, განსაკუთრებით კი კლობაზამთან კომბინაციის პირობებში.


**ამრიგად,**

- 1) სამედიცინო კანაბიდოლი (CBD) არის პირველი ფარმაცევტული პრეპარატი ანტიკონვულსანტების ახალ კლასში.

2) რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების მიხედვით CBD-მ ამცირებს გულყრების სიხშირეს დრავეს სინდრომის, ლენოქს-გასტოს სინდრომის და კომპლექსური ტუბეროზული სკლეროზის მქონე პაციენტებში.

3) CBD-სთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები, რომლებიც, ძირითადად უკავშირდება CBD-ს მაღალ დოზებს, არის შემდეგი:

- ძილიანობა,
- მადის დაქვეითება,
- დიარეა და
- შრატში ამინოტრანსფერაზას დონის მატება.



სურათი N11. გულყრათა შემცირების მაჩვენებლები CBD-ით ნამკურნალებ და პლაცებო ჯგუფებში დრავეს სინდრომის (Miller et al, 2020; Devinsky et al, 2017), ლენოქს-გასტოს სინდრომის (Devinsky et al, 2018b; Thiele et al., 2018) და ტუბეროზული სკლეროზის მქონე პაციენტებში (Thiele et al., 2019).


nnabidiol (CBD) in e et al., 2018), and op seizures for LGS ch CBD group and

## სხვა ნევროლოგიური მდგომარეობები

ქრონიკული ნეიროპათიული ტკივილი გაფანტული სკლეროზის დროს (Multiple sclerosis)

ჯანრთელი





© MARY FOUNDATION FOR MEDICAL EDUCATION AND RESEARCH. ALL RIGHTS RESERVED.

გაფანტული სკლეროზი (გს) არის თავისა და ზურგის ტვინის (ცენტრალური ნერვული სისტემის) პოტენციურად მაინვალიდოზებელი ქრონიკული დაავადება.

გს-ის დროს, იმუნური სისტემის დისფუნქციის გამო ზიანდება ნერვის დამცავი გარსი (მიელინი) და იწვევს ნეირონებს შორის კომუნიკაციის პრობლემებს. დაავადების სიმპტომები, მისი მიმდინარეობის ეტაპებზე სხვადასხვა პაციენტში განსხვავებული ინტენსივობითა და სიმძლავრით ფლუქტუირებს.

სპასტიურობა და ქრონიკული ნეიროპათიული ტკივილი ხშირი და სერიოზული სიმპტომებია გს-ის მქონე ადამიანებში. ეს სიმპტომები მატულობს დაავადების პროგრესირებასთან ერთად და იწვევს ინვალიდობის, ყოველდღიური საქმიანობისა და ცხოვრების ხარისხის გაუარესებას. ანტისპასტიური საშუალებები და ანალგეტიკები ხშირად, საკმაოდ მძიმედ გადაიტანება გს-ის მქონე პირებში, ამიტომ ასეთ პრეპარატებს შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ ამ სიმპტომების შესამსუბუქებლად.

პრე-კლინიკური კვლევების ანალიზისას, სადაც გს-ის მქონე ექსპერიმენტულ ცხოველებში შეფასებული იყო იმუნურ სისტემაზე კანაბიდიოლის ეფექტურობა, ყველა კვლევა მუდმივად მიუთითებდა კანაბინოიდოლის ეფექტურობაზე როგორც კლინიკური, ისე ჰისტოლოგიური მონაცემების მიხედვით. ცხოველურ მოდელებში ასევე ვლინდებოდა ანთებითი პროცესების ინჰიბირების შესაბამისი ეფექტები უჯრედული აქტივობის დონეზე კლინიკური და ჰისტოლოგიური მონაცემების კუთხით (Nichols & Kaplan, 2020; Peyravian et al., 2020).



კოჰრანის მიუკერძოებელი სტანდარტულ მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევების შედეგად (Filippini et al., 2022), სადაც მტკიცებულებათა სიზუსტის შეფასების საფუძველზე გაანალიზებულ იქნა გს-ის მქონე პაციენტებში

სპასტიურობის, ტკივილის სიხშირისა და ინტენსივობის, ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის, წამლის გვერდითი მოვლენების, ფიზიკური დამოკიდებულების, ფსიქიატრიული და ნევროლოგიური დარღვევების მონაცემები CBD-ით (100 მგ/დღეში), ნაბიქსიმოლითა (2.5 მგ/დღეში) და სანტოროსით მკურნალობის ფონზე, დაავადების მიმდინარეობის მხრივ მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ეფექტები არ გამოვლენილა. თუმცა, აღინიშნა, რომ ამ საკმაოდ მცირერიცხოვან კვლევებში, რომლებიც საბოლოო შეფასების საშუალებას არ იძლევა,



პრეპარატები გამოყენებული იყო სტაბილურად ძალზე დაბალი დოზებით (Furgiuele et al., 2021).

მაგალითად, ზოგიერთ კვლევაში გამოყენებული იყო **საინჰალაციო ნაბიქსიმოლსი** (Nabiximols - კანაბიდიოლის სპეციფიური ექსტრაქტი, პირის ღრუს სპრეი, რომელიც დამტკიცებულია 2010 წელს, როგორც ფიტო-პრეპარატი, სავაჭრო სახელწოდებით **Sativex**, სპასტიურობისა და ტკივილის სამკურნალოდ გს-ის დროს) რომელიც შეიცავს **2,7 მგ Δ9-THC** და **2,5 მგ კანაბიდიოლს** თითო შესხურებაზე (=100 მგ/დღეში ან 1.4 მგ/კგ/დღ 70 კგ სუბიექტისთვის); სხვა მკვლევრები აღნიშნულ საინჰალაციო ნივთიერებას იყენებდნენ კიდევ უფრო დაბალი საინჰალაციო დოზებით (Sorosina et al., 2018; Mlost et al., 2020). ერთ კვლევაში გს-ის დროს, სამკურნალოდ გამოიყენებოდა კანაფის ბუნებრივი ზეთის ექსტრაქტი მაქსიმალური პერორალური დოზით 0.25 მგ/კგ/დღეში. ზეთოვანი ფორმის ექსტრაქტის ან სტანდარტიზებული კაფსულების შემადგენლობა კი იყო 2:1/Δ9-THC:CBD (კანაბიდიოლის მაქსიმალური პერორალური დოზა 0,125 მგ/კგ/დღეში ან დაახლოებით 8,75 მგ/დღეში 70 კგ სუბიექტისთვის)(Katona et al., 2005; Killestein et al., 2003).

ხელმისაწვდომი პრეკლინიკური მონაცემები სტატისტიკურად სარწმუნოდ ადასტურებენ, რომ კანაბიდიოლის შემცველი პრეპარატები წარმოადგენენ ეფექტურ იმუნომოდულატორულ სუბსტრატებს, თუმცა, მათი სამიზნე მოლეკულების სპექტრი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

რაც შეეხება კანაბიდიოლის კლინიკურ კვლევებს როგორც ექსპერიმენტულ ცხოველებში ისე გს-ის მქონე პაციენტებში, რომლებიც საკმაოდ მცირერიცხოვანია და შესაბამისად, მტკიცებულებებიც შეზღუდული, კანაბიდიოლით მკურნალობა არ გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით დაავადების მიმდინარეობის კუთხით, რაც უნდა აიხსნას წამლის დაბალი თერაპიული დოზითა და მკურნალობის არაადეკვატური ხანგრძლივობით (Furgiuele et al., 2021).

მიუხედავად ამისა, ამ კვლევებმა დაადასტურა, რომ გს-ის დროს კანაბიდიოლის გამოყენება 60-84%-ით ამცირებს კუნთთა რიგიდობას, რაც პაციენტისთვის მნიშვნელოვანი უნარშემზღუდავი მდგომარეობაა. ბოლოდროინდელი კვლევებით გს-ის დროს სპასტიურობის სამკურნალოდ, მაღალი დონის მტკიცებულებზე დაყრდნობით, ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ სამედიცინო კანაბინოიდები მიიჩნევა (Vadav et al., 2014; da Rovare et al., 2017).

გს-ის დროს კანაბინოიდებით სიმპტომურ მკურნალობაზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია და საჭიროა კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი, სიღრმისეული კვლევების წარმოება წამლების სრულყოფილი სარგებლიანობისა და რისკების განსასაზღვრად, და ეფექტური

რეკომენდაციების შესამუშავებლად, რითიც შესაძლებელი იქნება გს-ის მიმდინარეობის კურსის შეცვლა და სიმპტომების წარმატებული მართვა.

## დასკვნები

CBD დამატებითი თერაპიის სახით მოწოდებულია (შეტანილია გაიდლაინებში) შემდეგი ნევროლოგიური დაავადებების სამკურნალოდ როგორც დამატებითი სამკურნალო საშუალება: ეპილეფსიის დროს

- დრავეს სინდრომი,
- ლენოქს-გასტოს სინდრომი,
- კომპლექსური ტუბეროზული სკლეროზი.

გაფანტული სკლეროზის დროს

- ქრონიკული ტკივილი,
- სპასტიურობა (MS).

CBD-ის პოტენციური ეფექტურობა ვლინდება შემდეგი მგომარეობების დროს:

- დეპრესია,
- შფოთვითი აშლილობა,
- ძილის დარღვევები,
- ფსიქოზი,
- გლაუკომა,
- ტურეტის სინდრომი,

ამასთან, პაციენტები, კანაბიდიოლის მცენარეული წარმოშობის გამო, მეტად კეთილგანწყობილნი არიან კანაბინოიდური პრეპარატების მიმართ და ეს პრეპარატები ინტერპრეტირებულია, როგორც ხელსაყრელი და გვერდითი ეფექტების არმქონე ნივთიერებები.

მაშინ, როდესაც კატეგორიულად დაუშვებელია ასეთი პრეპარატებით თვითმკურნალობა, რადგან ამ პრეპარატებს, განსაკუთრებით, სხვა მედიკამენტებთან კომბინაციაში, შეიძლება თან ახლდეს მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები და არასახარბიელო შედეგები.

## კანაბიდიოლთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

ავსტრალია

კანაბიდიოლის შემცველი წამლები გაიცემა სერტიფიცირებული ექიმის რეცეპტით (მე-4 განრიგი). წამალს პაციენტი ღებულობს ლიცენზირებულ აფთიაქში.

რეცეპტით გაცემული წამალი (განრიგი 4) თერაპიული გამოყენებისთვის შეიცავს CBD-ს ორ პროცენტს (2.0%) ან ამაზე მცირე რაოდენობით სხვა კანაბინოიდებს, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება კანაფში (მაგ.,  $\Delta 9$ -THC). მე-4 განრიგის პრეპარატი მარეგულირებელის მიხედვით არის მხოლოდ რეცეპტით გასაცემი წამალი, რომელიც უნდა დაინიშნოს ლიცენზირებული ექიმების მიერ, გამოყენებულ იქნას მათივე მიწოდებული რეკომენდაციებით და უნდა გაიცეს ფარმაცევტის მიერ, ლიცენზირებული აფთიაქიდან, რეცეპტის საფუძველზე (Freckelton, 2016).

ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, ნებისმიერი გასაყიდი პროდუქტი წინასწარ უნდა იყოს დამტკიცებული უსაფრთხოების, ხარისხისა და ეფექტურობის შეფასების საფუძველზე სათანადო მარეგულირებელის მიერ და მიღებული უნდა ჰქონდეს ოფიციალური მარკეტინგული ავტორიზაცია (დეტალები მოწოდებულია TGA-ს მიერ). მცენარეული ან სინთეზური წარმოშობის წამლები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ 18 წელზე უფროსი ასაკის პირებისთვის, მაქსიმალური დღიური დოზით 60 მგ/დღეში, მისაღები მზა პროდუქტის შემცველობით  $\Delta 9$ -THC - არაუმეტეს 2%-სა, 30-დღიანი მაქსიმალური მარაგით. ავსტრალიის სახელმწიფოს მიერ ასეთი მარეგულირებელი წინადადება ეფუძნებოდა ლიტერატურის თავდაპირველ მიმოხილვას დაბალი დოზის CBD-ის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ავსტრალიის წამლის რეგულირების დეპარტამენტის მიერ 2020 წლის აპრილში (Freckelton, 2021). რაც შეეხება ეპიდოლოგის მისი გამოყენება დამტკიცდა 2020 წლის 18 სექტემბერს ლენოქს-გასტოს და დრავეს სინდრომთან დაკავშირებული კრუნჩხვების დამხმარე თერაპიის მიზნით.

## **ბულგარეთი**

2020 წელს ბულგარეთი გახდა პირველი ქვეყანა ევროკავშირში, რომელმაც დაუშვა საკვები პროდუქტებისა და CBD შემცველი დანამატების თავისუფალი ვაჭრობა (Kirilov, et al, 2020).

## **კანადა**

2018 წლიდან კანაფის ფედერალური კანონის მიხედვით კანაბიდიოლი ლეგალიზებულია სამედიცინო მიზნით (Cox, 2018). 2019 წლიდან CBD პროდუქტების გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ ავტორიზებული საცალო ვაჭრობის ან ფედერალური ლიცენზირებული ჯანდაცვის კომპანიების მიერ, რომლებიც ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას ფართო მომხმარებლისთვის. ამ პერიოდიდან CBD-ის წყარო, CBD და CBD შემცველი პროდუქტები, როგორცაა კანაბიდიოლის ზეთი, იყიდება მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო სააფთიაქო ქსელში (Gunning, et al, 2022).

